მწიკში: გ. კვარაცხელია (ქუთაისი); ზ. ხუციშვილი (მდინაი); ა. ივანიშვილი (დუშეთი); ა. მუჭოვი (თბილისი); სფრ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

**ბათუმი 3:1 კოლხეთი (ფოთი)**

მწიკში: 1:0, 2:0 ტულუში (38), 3:1 მიქაძე (77), 3:1 მიქაძე (87)

მწიკში: გ. მჭედელი (ზუგდიდი); ა. სამარაძე (სოხუმი); ე. ციფურა (გურჯაანი); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფრ-ის ინსპექტორი: მ. ლაღაძე

**საპასუხო მატჩები 13 ნოემბერს გაიმართება**



„ბათუმი“ — „კოლხეთი“. პაატა მიქაძემ (მარჯვნივ) თავისი წილი გოლი „კოლხეთსაც“ გაუტანა

**მუზა კაციტაძე წყალტუბოდან**

**ბასსიშვილი** შარშანწინელი სათასო ბატალიები? იმ გათამაშებაში „სამგურალი“ და „ვიტ ჯორჯია“ მეოთხედინალობაში შეხვედნენ ერთმანეთს. პირველ შეხვედრაში ვეტერინარებმა იმარჯვეს 2:0 და თითქოს ნახევარფინალშიც ისინი უნდა გასულიყვნენ, მაგრამ გაიოზ დარსადის მიერ გაწვრთნილმა წყალტუბოელებმა საპასუხო მატჩში პატარა სასწაული მოახდინეს, ძირითად დროში მეტოქეს იგივე ანგარიშით სძლიეს და მეორე პენალტების სერიაშიც აჯობეს. „სამგურალმა“ შემდეგ „ლოკომოტივიც“ დაჩაგრა და ფინალს უწია, სადაც მატჩისშემდგომი პენალტების სერიაში დამარცხდა „ტორედოსთან“.

ახლა ფედერაციაში მოსაქმნიან გაიოზ დარსადე გუშინდელ მატჩს ესწრებოდა, ცხადია, მაყურებლის როლში. დარწმუნებული ვარ, იგი თავის ყოფილ გუნდს

ქომაგობდა, მისი წარმატება სურდა, ოღონდ ახლანდელ „სამგურალს“ თასის ფინალამდე ვინ მიუშვებს, მეტიც, გუნდს მერვედფინალიდან გაღწევის იმედიც არ ჰქონდა, თორემ ვეტერინარებს შესუსტებული შემადგენლობით არ დაუხვდებოდა. ვერც გამატყუნებ წყალტუბოური გუნდის თავგადასავალი. „სამგურალს“ ძალიან უჭირს ჩემპიონატში და ეტყობა, „სიონთან“ საკვირაო მატჩისთვის აღარ გადაღალეს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე.

ისე, მთლად ძირითადი არც „ვიტ ჯორჯია“ გასულა სათამაშოდ. თუმცა საქმეს ისე გაართვა თავი, საპასუხო მატჩს გულდამშვებებული შეხვდება. გადაუღებელ წვიმაში დაძვინებულ საფარზე (ისედაც უხარისხო) ბურთობა ვერაფერი სახალისო იყო, მაგრამ ასეთ პირობებშიც გუნდებმა შესაძლებლობის მაქსიმუმი თუ არა, მებრძოლი ხასიათი მანც გამოავლინეს.

# უღონო სიონი და ზოზინა დინამო



## დინამო 2:0 სიონი

თბილისი. 31 ოქტომბერი. 15 საათი. ეროვნული. 500 (ტელევიზია 70 900)



10 ბოზობიძე (44), 20 სვანიძე (74)

**დინამო:** ზოიძე, სვანიძე, კანდელაკი, ვაშაყიძე, შაშიაშვილი, ა. სახაძე (მანკაძე 65), ამოსულაშვილი, ბურჯული, დარასელია, ზირაძე-შვილი (ტაბ. მიქაძე 59), ბოზობიძე (იაგორაშვილი 76) სათადარიგო: ბათიაშვილი, შალამბერიძე, აფციაური, შავგულიძე, 883301500: გივი ნოღია

**სიონი:** ვოლკოვი, სიდაშვილი, ბარქაია (შაშიაშვილი 25), შაბიძე, ბარნოვი, ამბიძე, კ. გოდეგრაძე-შვილი, მოსეშვილი (მინდიაშვილი 46), პ. შერგელია (მინაშვილი 61), ისიანი, დაუშვილი სათადარიგო: დვალაძე-შვილი, თარგამაძე, გულუაძე, 883301500: თემურ მახარაძე

გაწმენდა: შერგელია (41)

შაბიძე: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე ვ. ელისაბედაშვილი (სამიჯვ თბილისი)

საფრის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ჯარიმა: 17-20; კუთხოვრი: 4-0; კარის ვენ დარტემა: 8-2; კარში დარტემა: 8-3; თამაშდარე: 1-0



დინამოელ მიხეილ ბოზობიძეს ბურთის გატანაში ბახვა მოსეშვილი (მარცხნივ), არჩილ შაშიაშვილი და კახა სიდაშვილიმ ხელი ვერ შეუშალეს



ჭიდაობა „ეროვნულზე“

### მამუკა კვანტალიანი

**ეროვნულ** ჩემპიონატში ყოფილა შემთხვევა, „სიონს“ „დინამო“ რამდენჯერმე შეუფერხებია — ქულა აურთმევით ქვემოქართლებს ათვხის ჩემპიონებისთვის. თემურ მახარაძეც დაიტრაბახებს, „დინამო“ ორჯერ თასის გათამაშებიდან დამიფრენიაო. ალბათ, ამის იმედით ეწვივნენ ბოლნისელები დედაქალაქს, მაგრამ გუშინ სტუმართვის ის ბედნიერი დღე არ იყო, მასპინძლებს რამეს გამოჩენოდნენ. დუნე, მოსაწყენ თამაშში „დინამო“ დიდ უპირატესობას ფლობდა, თუმც ისიც აღსანიშნავია, რომ ათვხის ჩემპიონებს მაინცდამაინც გააზრებული და დალაგებული ფეხბურთი არ უჩვენებიათ მათ სანახავად მისული მცირერიცხოვანი ქომაგებისთვის. მასპინძელთა ინდივიდუალური გარღვევები არეულობას კი იწვევდა სტუმართა საჯარიმოში, მაგრამ ბოლნისელები ტაიმის ბოლომდე მშვიდად იგერიებდნენ შეტევებს.

რა შეიძლება ვთქვათ „სიონზე“? თემურ მახარაძის გუნდმა შეტოქეს ერთი ხიფათიც ვერ შეუქმნა. მოწინააღმდეგის ნახევარზე გადასვლა უჭირდათ ბოლნისელებს, უღონოდ, უჯივრად გამოიყურებოდნენ სტუმრები შეტევაში, იფიქრებდით, ძალაგამოღებული ფეხბურთელები ეს-ესაა მოედანზე დაკვივდებიანო. მახარაძეს ვერ გაუმარია უკანახევრად ბარქაიამ. ბოლომდე ტრავმამოუშუშებელი მცველი 25-ე წუთზე შესაცვლელი შეიქნა. პირველი ტაიმის შემდეგ შეუძლოდ მყოფმა კახიანმა ბახვა მოსეშვილიც ვერ გააგრძელა თამაში. ბოლნისელებმა ცვლილებათა ლიმიტი 61-ე წუთზე ამოწურეს და მატჩის ბოლოსკენ ფეხნატკენი ისიანი და დაუშვილი იძულებით დარჩნენ მოედანზე. პრობლემები აწუხებდა გივი ნოღია-საც, „დინამო“ ჯერაც ვერ თამაშობს საკადრისად. ტრავმირებული კი გამოჯანმრთელდნენ, მაგრამ სანამ ისინი ფორმაში შევლენ... ისე, მასპინძლებმა თავიდანვე ფრთხილად დაიწყეს, ბოლ-

ნისელთა ერთადერთ ფორვარდ შენგელიას ოთხი მცველი დაახვედრეს. —უტყველა „დინამო“, დარასელიას დარტემა გაუცუვდა, ბურთულმა ჯვარედინს მორატყა ბურთი, ზირაძე-შვილმა საერთოდ ვერ დაარტყა და მაშინ, როცა ბევრი ფიქრობდა, ტაიმი უგოლოდ დამთავრდებოდა, ბოზობიძემ გაიტანა. მარცხნიდან საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს მიხეილმა სწორად შეურჩია ადგილი, მცველებსაც აჯობა და ზუსტი თავურით ვოლკოვს შანსი არ დაუტოვა. მეორედ მასპინძლებმა ნახევარი საათის შემდეგ გაიზარეს. სვანიძემ ლამის თავის ნახევრიდან დაიწყო, ბურთიანად საჯარიმში იარა და ვოლკოვსაც საგოლედ დაურტყა მისი ხელისშემშლელი არავინ იყო ბოლნისელთა შორის. სათასო პაექრობა ისეთი რამაა, ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ „დინამოს“ ორბურთიანი უპირატესობა ბოლნისში მშვიდად ჩასვლის საშუალებას აძლევს არა დღევანდელი „სიონი“ ორი ბურთის გამბათილებელი, მეოთხედფინალში მოსახვედრად შემართული გუნდი.

# გადაღებულა!

## მილჩენკოს დაგიფხვებული ჭოიავა ბამოაჩინა

**მეცამეტე** ჩემპიონატის მეცამეტე ტურის „კოლხეთი“ — „ტორპედო“ მთლად სუფთა და სამართლიანი თამაში არ იყო. ამას მარტო ჟურნალისტები არ ვამტკიცებთ, ქომაგებიც აღიარებენ. 27 ოქტომბრის ფაზისური მატჩის გაგრძელებას აუცილებლად ვედირსებით. გუშინდელამდე ამაში ეჭვი გვეპარებოდა, გუშინ საღამოს კი... „საიდან მოიტანეთ, რომ „კოლხეთი“ — „ტორპედოს“ თამაშის ვიდეოფირი არ არსებობს“ — დაგვიკავშირდა რუდექიაში ფოთელთა ვიცე-პრეზიდენტი თენგიზ ქოიავა.

„ფაზისზე მატჩი არ ჩატარებულა, ფირზე არ აღგებებდნენ. 27 ოქტომბერსაც ჩვენი კლუბის ოპერატორი თავის საქმეს ასრულებდა. მატჩის შემდეგ ფირი არავის მოუთხოვია. თუ აინტერესებთ, ინებონ, ბატონო. მილჩენკო რომ ამტკიცებს, უშუქობის გამო მატჩი არ გადაუღიანათო, უშუქოდ ოპერატორი ვერ იმუშავებდა თუ ქვის ხანაში ვცხოვრობთ? „კოლხეთს“ არაფერი აქვს დასამალი და თუ „ტორპედო“ არ ითამაშა, რა ჩვენი ბრალია?“ — გვითხრა თენგიზ ქოიავამ და დაგვემშვიდობა.

გასაკვირია, მაშ, ანატოლი მილჩენკო რად ამტკიცებდა, ფოთში უშუქობის გამო მატჩის ვიდეოფირზე აღებულება ვერ მოხერხდა. თენგიზ ქოიავას თქმით, ფირი არავის მოუთხოვია, თორემ არც დაგვანანდელით, უმალ ვახლებდითო. მთავარი საბუთი გამოჩნდა, ჯერი ფედერაციაზე, რომელიც პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას ელის და საქმეც გაიჩვენა. ამბობენ, „კოლხეთი“ — „ტორპედოს“ საბოლოო ვერდიქტს საგანგებო კომიტეტი გამოუტანსო.

მამუკა კვანტალიანი

**ფირების რეგისტრაცია**  
**ოფორმული კომპანიები**  
**რუსეთის ვიზები**  
**მისამართი:**  
**„პირიშვი“ ბეორა სართული**  
**ბელაფონი: 93-52-34, 877 42-20-59**

**კავისიკო**  
**გაზატი**  
**სარბიელი**  
**თავის ფასში**  
**ბელაფონით!**  
**1 თვით, 2 თვით,**  
**3 თვით, 6 თვით, 12 თვით.**  
**98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97**  
**ფოსტის ყუთები და**  
**დამონტაჟება უფასო!**  
**„პრეს-მოზილი“**



თენგიზ ქოიავა (მარცხნივ): ანატოლი მილჩენკოს ვიდეოფირი არ მოუთხოვია

NBA. რეზულტატი

ნიუ იორკი ახალ ტერაქტს გადაურჩა

30 ოქტომბერი

ნიუ იორკი 93:91 ვაშინგტონი
ნიუ იორკი: სპროუელი (28), პოსტონი (22)
ვაშინგტონი: ჯორდანი (19), ვიტნი (18)

ლიუიზიანა 96:87 პორტლენდი
ლიუიზიანა: ონილი (29) ტულა, 18 მოხსნა, 5 პასი, 5 დაფარება, ბრაიანტი (29)
პორტლენდი: ფოლსი (22) ტულა, 12 მოხსნა, სტუდემიერი (20), ანდერსონი (17)

ორლანდო 114:85 ტორონტი
ორლანდო: მაგერი (23), პილი (22), არსტორონგი (16)
ტორონტი: კლერკი (13)

იუტა 112:119 მინესოტა
(ძირითადი დრო 102:102)
იუტა: სტარტი (20), სტოქტონი (18) ტულა, 14 პასი
მინესოტა: ალენი (32), რობინსონი (28), კასელი (25) ტულა, 11 პასი

საბრაზინტო 101:95 სიეტლი
საბრაზინტო: დივიცი (27) ტულა, 8 მოხსნა, 8 პასი, სტოიაკოვიჩი (26)
სიეტლი: ბიკერი (20), ბეიტონი (18) ტულა, 13 პასი, ბერი (16)

მინესოტა 83:74 ფინლანდია
მინესოტა: ბილაფსი (22), სმიტი (15)
ფინლანდია: კლატონი (20), კოულ-მენი (15) ტულა, 11 მოხსნა

პიუსტონი 89:84 ატლანტა
(ძირითადი დრო 76:76)
პიუსტონი: ფრენსისი (23) ტულა, 13 მოხსნა, მობლი (21)
ატლანტა: აბდურრაჰიმი (28) ტულა, 18 მოხსნა

ფინიქსი 96:99 ოკლაჰომა
ფინიქსი: დელეი (21), მარინი (20), მარტინი (14) ტულა, 10 პასი
ოკლაჰომა: ვან ექსელი (27), ვილიამსი (12) ტულა, 15 მოხსნა

სან ანტონიო 109:98 კლიპერსი
სან ანტონიო: სმიტი (19), დანიელსი (17), დანანი (15) ტულა, 13 მოხსნა, 6 დაფარება
კლიპერსი: ბრენდი (27), მაკინისი (20)

დალასი 94:87 მემფისი
დალასი: ფონი (34), ნოვიცკი (21), ნემბი (14) ტულა, 11 პასი
მემფისი: სტეპენჰაუზი (27) ტულა, 8 მოხსნა, 6 პასი

ნიუ ჯერსი 103:97 ინდიანა
ნიუ ჯერსი: ვან პორნი (26), კიტლზი (20), კიდი (14) ტულა, 10 მოხსნა, 9 პასი
ინდიანა: როუზი (43), მილერი (20)

კლივლენდი 89:108 პოსტონი
კლივლენდი: ბერნარდი (13), ჯონსონი (13)
პოსტონი: ბირსი (29), უოლკერი (23)


30 ოქტომბერს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის 29 გუნდისთვის და დაახლოებით ოთხი ასეული კალათბურთო გუნდისთვის ექვსთვიანი საშუალო სეზონი, მათ გულშემატკივართათვის კი გრანდიოზული შოუ-სანახაობა დაიწყო. დაიწყო ყველა დროის უძლიერესი კალათბურთო გუნდის მთავარი მწიფე ჯორდანის ნა-ში მესამე დებიუტით და პირველი წაფორხილებით.

მისი პაერის უდიდესი წარმატება ახალ გუნდს „ვაშინგტონი ვინგერსთან“ ერთად ესტუმრა ამას წინათ ტორონტოსთან მიერ აკლებულ ნიუ იორკს. იგი ჯერ თამაშობდა ვაშინგტონის დენაზა ხალსს, სამხრეთის საკლბოს კი უცხოეთის სპორტულ არენა „მედისონ სკვერ გარდენში“ ვინ იცის მერამდენედ შეაბიჯა და იქ დახვედრილ „ნიუ იორკ ნიქსს“ 19 ქულა ჩაუგდო.

„ნიქსის“ კალათბურთო 19 ქულის ჩაგდება ბერნარდის იქნებ ოცნების ზღვარიც იყოს, მაგრამ ჯორდანისთვის აბა, რა გასკვირავს. არც უხვირო „ვაშინგტონის“ მარცხს გაუოცებია ბევრი.

ორიოდ თვის წინ „ვიზარდის“ პრეზიდენტ ჯორდანის მიერ „ჯადოქართა“ დამრიგებლად დაქირავებულმა დღე კოლინზმა ჯერაც ვერ შეურჩია ყოფილ ბოსს, აწ კი შეიძლება ჯორდანს მოედანზე ადგილი. მას ხან ფრთად ამწყვდებიან, ხანაც ბურთის გათამაშებას ავალებს, ვინაიდან ჯორდანის ნატურალურ, მსროლელის ამპლუაზე რჩარად ჰამილტონი ჰყავს და მისი ხუთეულიდან ამოვდება უნაჩვენა. ჯორდანს ჰქვია ნამდვილად არ აკლია, მაგრამ 38 წლის ასაკში გვარისად დამძიმებულია და გათამაშებულთათვის აუცილებელი სისწრაფე აკლია.

„ნიუ იორკთან“ მას შეტევების დაგვირგვინებასთან ერთად მათი ორგანიზებაც დაევალება, შედეგად „ვაშინგტონმა“ პირველი სწრაფი შეტევებიდან



ნიუ იორკი — ვაშინგტონი. მაიკლ ჯორდანი ლატრელ სპრიუელს გაემტო

ქულაც ვერ მიითვალა. სამაგიეროდ, მაიკლმა ივარგა პოზიციურ თამაშში, თუმც სროლები არ წაუვიდა — 21-დან 14 აცილა, მათ შორის მნიშვნელოვანი სამქულიანი და „ვაშინგტონმა“ ბოლო წუთზე 91:88 ანგარიშზე გათანაბრების შანსი დაკარგა, საბოლოოდ კი წააგო კიდევ.

ნამატჩვეს ჯორდანი საკუთარი თავით უკმაყოფილო იყო. ცუდი სროლის გარდა მან ორი მნიშვნელოვანი ბურთის დაკარგვითაც წაახდინა საქმე. თუმც პირველმა მარცხმა მისი ოპტიმიზმი ვერ შეარყია, კარგი იქნებოდა, მოგველო, მაგრამ მთელი სეზონის წინ გვაქვს და რაც დღეს ვერ შევძელით, უახლოეს ექვს თვეში ბევრჯერ მოვახერხებთ, თქვა.

„ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“ ზედიზედ მესამე ჩემპიონობისთვის ბრძოლა იმით დაიწყო, რომ არაერთგზის გაბითურებულ „პორტლენდს“ კიდევ ერთი მუშტი ჩაარტყა. არეფას საბონის რომ ჰყავდათ, მაშინ ვერავფერს უხერხებულ პორტლენდლებს შაკილ ონილს, გიგანტი ლიტველის გარეშე დარჩენილებს რომ წასაგებად გაიჭირებინ. ონილის თამაში ქების ღირსია, მით უმეტეს, რომ შაკმა ორი თვის წინ ტერფზე ოპერაცია გაიკეთა და მისი თამაში საერთოდ სათუო იყო. არც ჩაუქი კობი ბრაიანტი ჩამორჩა და თავისი წილი 29 ქულა ჩაუგდო მეტოქეს. „ოლივერსი“ პირველი წუთებიდანვე დაწინაურდა და აუღელვებლად ჩამათვარა თამაში.

დიდ ჯაბს ელოდნენ ორლანდოში, სადაც „მეჯიკი“ „ტორონტოს“ დაუხვდა, ხოლო მასპინძელთა ყმაწვილი ლიდერი ტრეისი მაგერი თვის ბიძაშვილ ტორონტოელ ვინს კარტერს უნდა შეეჭიდებოდა. ბრძოლა არ შედგა, რადგან შეხვედრის დებიუტში კარტერმა მასპინძელ მთაკაც პორას გრანტთან შეჯახებისას რადაც იტყინა და კარგა ხანს არ გამოჩენილა მოედანზე, ხოლო როცა დაბრუნდა, მისი გუნდი ორი ათეული ქულით აგებდა და არც ჩარხის შემოჭრის დასრულებული ჩანდა. გაცილებით საინტერესო გამოდგა მეტოქეთა ორი ბებერი ასალწვეულის, ჰაკიმ ოლაჯუონის (ტორონტი, 11 ქულა) და პატრიკ ოუინგის (ორლანდი, 12 ქულა) დუელი. ამ ბოლო წლებს თუ არ ჩავთვლით, მათ შორის მგლობნის გუნდი თამაშს იგებდა, ახლა კი ოლაჯუონ-ოუინგის ჭიდილი მხოლოდ თვალს ახარებს და სტაჟთან ქომაგებს ლამაზ წარსულს აგონებს.

17 წელი ოლაჯუონთან ერთად მავალმა, აწ კი უძისოდ ლამის მგლოვიარე „პიუსტონ როკეტსმა“ მაინც იპოვა ძალა და შინ ავტომა შარფ აბდურ-რაჰიმით დასაძირებულ „ატლანტას“ ნა-ში 80-იან წლებში გამოჩენილ სუპერკალათბურთელთა დრო რომ წაყვია, სოლტლეიკურმა მატჩმა დაამტკიცა სისხლიწვეფარე „მილუოკის“ სტუმრად და მატჩით დროში იმსხვერპლა ბებრული „იუტა“. სამმა სტუმარმა სნაიპერმა —

რეი ალენმა, გლენ რობინსონმა და სემ კასელმა ჯამში 85 ქულა დაატეხა თავს „ჯაზზერსს“. „ბაქსის“ ჯანიანმა ახალწვეულმა ცენტრი მისონმა მათ მონაგარს მხოლოდ 11 ქულა შეაშველა, თუმც ყველა სხვაზე მეტი იმუშავა და კარიერაში დაგროვილი ქულებით მხოლოდ ქარიმ აბდულ-ჯაბარის ვერმჯობნი შეკაცი კარლ მელონი 15 ქულას დააჯერა. ივარგეს სხვა ბებრმა ოუტლებმა — ჯონ სტოქტონმა და ჯონ სტარტსმა, თუმც ამით საქმეს არ ეშველა. „ჯაზი“ ძირითად დროში მარცხს ბოლო წამზე მილუკელი ტიმ ტომასის გაფუჭებულმა სროლამ იხსნა, თუმც მასპინძლებმა შემდეგ სემ კასელს ვერაფერი უწამლეს და დამატებით ხუთწუთეულში მისგან 14 ქულა მიიღეს კალათში.

მოტეხილმა ხელ-ფეხმა და დაჭიმულმა კუნთებმა ბევრ ყოჩად ჯეკლს გამოატოკებინა სეზონის დასაწყისი. წინა სეზონის ვიცე-ჩემპიონი „ფილადელფია“ მინეაპოლისში იქაურ „მგლებს“ აღენ აივერსონის, აარონ მაკისი და ერიკ სნოუს გარეშე შეეგა და შეისვენსლა. უდიდესი „სიქსერს“ ახალწვეული დერიკ კოულმენი და ახალბედა სპიდი კლაქსტონი წაუძღვნენ და ნა-ს მიერ ამ სეზონიდან დაშვებულ და მინესოტელთა მიერ მშვენივრად გამოყენებულ ზონურ დაცვაში ჩააკლებნენ.

ზონური დაცვის ანაბი ვერობლებზე უკეთ ვინ უნდა იცოდეს, პოლა, იუგოსლავიელებმა ვლადე დივაცამ და პრედრავ სტოიაკოვიჩმა „სიეტლთან“ შეხვედრაში ამის წყალობით მოაგებინეს კრის ვებერის გარეშე მყოფ „საკრამენტოს“.

„ფინიქსმა“ დებიუტი ჩაუმწარდა ექსნიუგერსულ სტივენ მარბერის. მისმა ახალმა გუნდმა უმაკაიესო, უკანასკნელ სირცხვილი ჰამა. სამაგიეროდ, ივარგა ექსნიუგერსელმა, აწ კი „ნიუ ჯერსის“ ლიდერმა ჯეისონ კიდმა, რომლის 14 ქულამ „ინდიანასთან“ შეხვედრაში ჯაღენ როუზის 43 ქულა გადასწონა.

Table with 2 columns: Team and Score. Includes teams like New York Knicks, Washington Wizards, etc.

საპორტას თასი
ჯგუფური მტავი. I ტური. 30 ოქტომბერი
A ჯგუფი, B ჯგუფი, C ჯგუფი, D ჯგუფი

მსოფლიოს ჩემპიონატი. ანთალია (თურქეთი)

პროფესიონალი ბაგმინარეა ვერს ანთალიურა გუმ ბაღლო

დღეს ქართული სპორტი და სილუზიერ ისეთივე განუყოფელი ცნებებია, როგორც ძალოსანი და შტანგა. თუმცა ერთი ხანობა ჩვენში ამ სპორტული იარაღის შოვნაც ჭირდა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ორიოდ დღეში მალოსანთა 71-ე მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო.

ძალოსანთა უმთავრესი ასპარეზობის მასპინძლობა, როგორც თავდაპირველად იყო გათვალისწინებული, ნაურთა უნდა ეკისრა, თუმცა შემდგომ სამსოფლიოს ჩემპიონატს ალავრდი გუამმა მიიღო, მაგრამ, ჩვენს ბედად, ოკეანეთის ვერც ერთმა და ვერც მეორე კუნძულოვანმა სახელმწიფომ ამგვარი ღონისძიების მასპინძლობის უფლება ვერ შეიძინა და ეს პატივი ისევ ჩვენს გერბოვლად თურქებს დარჩათ. ისე კი, სიმძიმის ცენტრი ოკეანეთს რომ დარჩენოდა, საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის საფეხბურთო-სადარბეგლი მერე გამენახათ. თითოეული სპორტმენის იქ გამგზავრება ფედერაციას დაახლოებით 3500 დოლარი დაუჯდება, ეკონომიკური გამყინვარების პერიოდში კი ვეჭვობთ, მსოფლიოს ჩემპიონატს ქართველი ძალოსნებიც შეეყოფნენ. ამის ვარაუდის საბაბს ავერ ყურისძირში, ანთალიაში საქართველოს გუნდის არასრული შემადგენლობით გამგზავრება გვაძლევს.

ჩვენგან განსხვავებით, თუ სხვა ბევრად დალხენილი ქვეყნები საკუთარი ნებით აცხადებენ უარს ანთალიაში ჩასვლაზე, ეს იმიტომ, რომ უსაფრთხოების ნორმებს მთავალისწინებენ. ისე კი, ბოლო დროს მსოფლიოში შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ თავისი კვალი ძალოსანთა უმთავრეს ასპარეზობებსაც დაატყო. ამას ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იფუ) პრეზიდენტი ტამაშ ახანიც ჩაუგდია საგონებლში. იგი შიშობს, რომ 4-11 ნოემბრის მსოფლიოს ჩემპიონატი გათვალისწინებულზე ნაკლებ მონაწილეს მოუყრის თავს. თუ თავდაპირველად ამ შეჯიბრებაზე ასპარეზობის სურვილი 350-მა სპორტსმენმა გამოთქვა, სექტემბრის ცნობილი მოვლენებისა და ავღანეთში მიმდინარე ანტიტერორისტული სამომარო ოპერაციების შემდეგ ბერმა ქვეყანამ აიღო ხელი თურქეთში საკუთარი გუნდის გაშვებაზე. აშშ, იაპონია და ჩრდილოეთ კორეა ის ქვეყნებია, რომლებმაც ამგვარი გადაწყვეტილება მიიღეს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ანთალიაში ვერ ვიხილავთ ძალოსნობის სამყაროში ისეთ წონიან ქვეყნებს, როგორებიცაა ბულგარეთი, საბერძნეთი, რუსეთი, ჩინეთი, უნგრეთი, თავისთავად მასპინძლებზე რომ არაფერი ვთქვათ.

ფლანდრია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეთა საშუალო ასაკი ახალგაზრდულია. ასეთი რამ ახალი ოლიმპიური ციკლისთვის დამახასიათებელია.

გარდა ამისა, 3 ნოემბერს ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესს დაესწრება ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი რამაზ გურგენიძე. ამასთანავე, ქართველი ძალოსნების გასამხენებლად ანთალიაში გაემგზავრება სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეტმარიაშვილი.

Table with 2 columns: Team and Score. Includes teams like Georgia, Armenia, etc.

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80



რეინ კავანიუმი ავსტრიულ ზოლდენში უკანასკნელი წარმატება მოიპოვა

# მსოფლიოს ჩემპიონი სიკვდილზე დააპარსხა

სპორტის ერთგვარი ომია და სამწუხაროდ, ხანდახან მსხვერპლს ითხოვს ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ჩვენ გავივით ხანგრძლივად ავარიითა ამბები ფორმულა-1-დან და კარტიდან, ვიცით, რომ ზოგიერთი მოკრივის სიცოცხლე რინგზე დასრულდა, არც წესებისგარეშე ბრძოლა მთლად ზვერლოვანი სახეობა, მაგრამ ცოტას თუ მოუვიდდა აზრად, რომ მთის თხილამურობაც არანაკლებ საშიში სპორტია სიცოცხლისთვის, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილები. წერილს დართულია სია ამ აზრის გასამყარებლად გვინდა, ცალკე კი გაცნობებთ, რომ ორდღიანი აგონიის შემდეგ გუშინ, თბილისის დროით 14 საათზე, გარდაიცვალა ფრანგი რეინ კავანიუმი და მთის თხილამურობის და საერთოდ, სპორტული სამყარო მორიგ შოკში ჩაავლო.

„კავანიუმი გარდაიცვალა. მას რამდენიმე ღრმა ჭრილობა ჰქონდა, რომელთაგან სასიკვდილო ტვინის დაზიანება გამოდგა“ — თქვა მისმა ექიმმა ინსბრუკის უნივერსიტეტის პოსტიტალში პრესასთან შეხვედრისას. კავანიუმი იქ ვერტმფრენით გადაიყვანეს და 4-საათიანი ოპერაცია გაუკეთეს. მედიკოსებმა შემდგომ ოპერაციებზე უარი განაცხადეს, პაციენტის ორგანიზმი ვერ გაუძლებსო. მათ სიტუაციის სულ ოდნავ გაუმჯობესების იმედი ჰქონდათ, მაგრამ ამოდ — 31 წლის სამთომთხილამურე სიკვდილი ვერ დაამარცხა.

პოლიცია გამოძიებას შეუდგა და თუ საუბარია მთავარ დამნაშავეზე, იგი საძებნე არ არის — გერმანელი მარკუს ანვანდერი თუნიორების მწვრთნელი გახლავთ. სწორედ იგი აღმოჩნდა საბედისწერო ადგილას, ტრასის პერიმეტრზე, როცა კავანიუმი საშიშელი სიჩქარით (100 კილომეტრი საათში) მოჰქროდა ქვემოთ, ინსბრუკის დასავლეთით მდებარე თოვლიან ფერდობზე. დაჯახების საბედისწერო იყო: კავანიუმი და ანვანდერი ერთმანეთს თავებით მიეხლან და საშიშელი ტრაგედიები ამან განაპირობა, ხოლო შემდეგ თითოეულმა კიდევ ასი მეტრი იგორა, სანამ მასველები გამოჩნდებოდნენ.

ტრაგედიის მიზეზად საფრანგეთის და გერმანიის მთხილამურეთა გუნდებს შორის წარმოქმნილ გაუგებრობას მიიჩნევენ. „ნაკრებებს მოლაპარაკებულნი ჰქონდათ — ამბობს პოლიცია — ვერ გერმანელები ვარჯიშობდნენ. როგორც კი ბოლო მათგანმა სრიალი დაასრულა, ანვანდერი დახოკიდებულად გადავიდა სწრაფდაშვების ტრასაზე, პასუხისმგებელი მუშაკებისთვის არაფერი უკითხავს“.

მოკლედ, ანვანდერს დაუშავებია და ავსტრიის პროკურატურის წარმომადგენელი უკვე აცხადებს, რომ მის წინააღმდეგ შესაძლოა საქმე აღიძვრას. „ის ტრასაზე უკითხავად გავიდა, რაც ტრაგედიის მიზეზი გახდა“ — ამბობს პროკურატურის პრეს-მდივანი რუდოლფ კოლი. ისიც სათქმელია, რომ ანვანდერიც ძლიერ დაშავდა, რამდენიმე აღ-



რეინ კავანიუმი

დაიბადა 1970 წლის 27 ივნისს ლა კლუსაზში (საფრანგეთი) მსოფლიოს თასის ეტაპებზე მონაწილეობდა 1988 წლიდან. მოიგო 8 ეტაპი. 2001 წლის თებერვალში გახდა სუპერგიგანტის მსოფლიოს ჩემპიონი. დაქორწინებული არ ყოფილა. გარდაიცვალა 2001 წლის 31 ოქტომბერს ინსბრუკში (ავსტრია).

გილას სერიოზული დაზიანებები აღენიშნება, მათ შორის თავში, მაგრამ, ექიმთა ცნობით, გადარჩენის იმედი დღიდან დღემდე მატულობს. თუ მაინცდამაინც მსვავს შემთხვევებს გავიხსენებთ, ორშაბათს მომხდარი ტრაგედია ხუთი წლის წინანდელ ამბავს მოგვაგონებს, როცა სიერა ნევადაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე რუსი ტატიანა ლებედევა თხილამურობის საერთაშორისო ასოციაციის (ფის) წარმომადგენელს დაეჯახა. თუმცა მაშინ ორივენი გადარჩნენ, მხოლოდ ფეხს მოიტყვეს.

ეს და მისთანა ამბები ისტორია და დღეიდან ისტორიად იქცევა რეინ კავანიუს ცხოვრება და კარიერაც. ფრანგი მანდილოსანი 31 წლის წინ დაიბადა ლა კლუსაზში, რომელიც საფრანგეთის ალპებში მდებარე მთიანი კურორტი გახლავთ. კავანიუმიც თითქმის სიარულთან ერთად ისწავლა თხილამურობა. მამამისი ზაფხულში დურგლობდა, ხოლო ზამთრობით იქაურ კონტაგორაზე ამავე საბაგიროს ემსახურებოდა. იქვე იყო მისი გოგოც, რომელიც დღეიდან საღამომდე სრიალის მეტს არაფერს აკეთებდა.

კავანიუს პროფესიული თხილამურობა მშობლებმა არ ურჩიეს და თვითონაც იმ აზრის იყო, ძველი და უშემოსავლო საქმეა. მით უმეტეს, მისი კარიერის დასაწყისი და შუაწელი სწორედ რომ არ იყო ტიტულებით დასუნძოლი. იანია ცოცხელი, ანია პაერსონი და მისთანები ვერ კიდევ თინეჯერები არიან და უკვე შესწვნიან მწვერვლებს, მათი ხნის კავანიუს კი

სპეციალისტების მეტი არაა იცნობდა. მსოფლიოს თასზე პირველად 18 წლისამ ისრიადა, თუმცა პირველი ეტაპი მხოლოდ ათი წლის შემდეგ იტალიურ კორტინაში მოიგო. რადგან წარმატება არ მიდიოდა, კავანიუმიც არ დარჩა მხოლოდ თხილამურობის იმედად, უმაღლესი განათლება მიიღო და საფრანგეთის საბაჟოს ოფიცერი გახდა.

ნავანოს ოლიმპიადაზე კავანიუმი ყველაზე უკეთ სწრაფდაშვებაში ისრიადა, სადაც მე-7 ადგილზე გავიდა. ეს იყო მისი საუკეთესო შედეგი იმ სამი ოლიმპიადიდან, რომლებზეც ფრანგი მონაწილეთა შორის ერია. სწრაფდაშვება საერთოდ კავანიუს ერთ-ერთი საყვარელი დისციპლინა იყო, კარიერის მანძილზე მოგებული მსოფლიოს თასის 8 ეტაპიდან 5 სწრაფდაშვებისა იყო, მათ შორის კორტინასიც, მაღლა რომ ვახსენებთ.

ბოლო წლებში კავანიუმი თავი სუპერგიგანტშიც გამოიჩინა და კაცმა რომ თქვას, მისი კარიერის მთავარი წარმატება სწორედ ამ დისციპლინაზე მოხდა. წლებში ავსტრიულ სანტ ანტონში კავანიუმი სუპერგიგანტის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და თასის ეტაპებზეც ძლიერ რიგანად გამოიჩინა: სამი ეტაპი მოიგო. იგი ახალი სეზონისთვისაც ენერგიულად ემზადებოდა და ამ დროს ფაფურაკი შეეშინა — 17 აგვისტოს ჩილეს ანდებში ვარჯიშისას ფეხის მეყსები დაიწყვიტა. კარგა ხნის მკურნალობის შემდეგ კავანიუმი ვარჯიშში განაახლა და წლებიანდელი მსოფლიოს თასის პირველ ეტაპზე გამოჩნდა, რომ იგი იმ იმეათათგან გამხდარიყო, რომლებიც უნივერსალურ მთხილამურეებად იწოდებიან. ეტაპი გიგანტური სლალომისა იყო, რომელშიც ფრანგი ადრე არ გამოჩნეულა, ამჯერად კი მესამე ადგილი დაიკავა. უკვე ველია, იგი ძლიერად ისრიალებდა სწრაფდაშვების და სუპერგიგანტის ეტაპებზეც და მსოფლიოს თასის ფავორიტთაგან იქნებოდა, მაგრამ არ დასცალდა...

**დავით გულუა**

**შუაგობრებისა და პარაოლიმპიკის დაღუპული მოთხილამურეები**

1959	ტონი მარკი (ავსტრია)
1959	ჯონ სემელენკი (კანადა)
1964	როს მილნი (ავსტრია)
1964	ვალტერ მიუსნერი (იტალია)
1969	სილვია სუტერი (შვეიცარია)
1970	მიშელ ბოზონი (საფრანგეთი)
1971	დევიდ ნოვილი (აშშ)
1975	მიშელ დიუჟონი (საფრანგეთი)
1975	მარკო ვუოპალა (ფინეთი)
1989	ლიონარდო დავილი (იტალია)
<i>1986 წელს მიღებული ტრაგედიის შემდეგ სიკვდილამდე იყო კომაში</i>	
1991	გერნოტ რაიხერნშტადლერი (ავსტრია)
1992	პეტერ ვინსბერგერი (ავსტრია)
1993	კარინ ტორინი (შვედეთი)
1994	ულრიკე მაიერი (ავსტრია)
2001	რეინ კავანიუმი (საფრანგეთი)

NHL. რეზულტატი ჩემპიონატში

## გვყავს კოვალჩუკი? გეგონია იმედის

30 ოქტომბერი

**მსტინი 3:4 ნიუ ჯერსი (0:2 2:0 1:0)**  
0:1 მედენი 8(1), 0:2 ნიდერმაიერი 10(2), 1:2 გერინი 22(3), 2:2 მიურეი 25(7), 2:3 მედენი 47(2), 3:3 მიურეი 55(8), 3:4 ნიდერმაიერი 6(3)

**ბარონა 2:5 ატლანტიკი (0:3 2:0 0:2)**  
0:1 დანდენო 2(2), 0:2 დაცოუკი 7(1), 0:3 ზენაზანი 9(7), 1:3 კაბანენი 34(6), 2:3 ფრენსისი 36(3), 2:4 აიზერმანი 45(4), 2:5 დრეიპერი 59(2)

**მინნაპოლი 0:3 ვინიპეგა (0:0 0:0 0:3)**  
0:1 განიე 4(4), 0:2 ბრუნდლი 7(1), 0:3 განიე 25(6)

**ტორონტო 3:2 ტამპა (0:1 0:1 3:1)**  
0:1 რინარდსი 10(7), 1:1 რობერტსი 45(4), 2:1 მაკოლი 49(3), 3:1 რენნერგი 5(3), 3:2 სენტლუსი 53(6)

**ჩიკაგო 5:1 ლოს ანჯელისი (2:1 2:0 1:0)**  
0:1 სმოლინსკი 1(7), 1:1 ჰანოვი 18(6), 2:1 კოროლიოვი 18(3), 3:1 ტომასი 29(4), 4:1 კოროლიოვი 37(4), 5:1 ბელი 49(3)

**ვანკუვერი 3:1 კოლუმბია (2:1 0:0 1:0)**  
1:0 კურეი 14(1), 2:0 დრაკენი 14(3), 2:1 სილვერერი 17(1), 3:1 ნესლენდი 52(7)

**გუფალო 2:3 ფინიქსი (1:1 1:0 0:2)**  
1:0 აინიონი 4(4), 1:1 ბრირი 10(6), 2:1 ბრაუნი 22(1), 2:2 დოუნი 44(2), 2:3 ლეზი 5(3)

**აილენდერი 3:2 ვულვრი (0:0 2:1 1:1)**  
0:1 პუსელიუსი 25(6), 1:1 პაპრლიკი 33(2), 2:1 ბერი 35(1), 3:1 ჩერკასკი 44(2), 3:2 პუსელიუსი 56(7)

**ატლანტა 3:6 მთაპა (1:1 1:3 1:2)**  
0:1 არვედსონი 16(4), 1:1 პრეკანი 19(3), 1:2 ნილი 22(1), 1:3 ალფრედსონი 24(6), 1:4 პაპალატი 35(4), 2:4 კოიბალუკი 38(7), 2:5 ფიშერი 43(2), 3:5 პიტლი 49(3), 3:6 მაკინერი 60(3)

**დამონტონი 3:1 მონრეალი (1:0 2:0 0:1)**  
1:0 რ. სმითი 15(5), 2:0 ნინიმა 29(1), 3:0 კლირი 3(4), 3:1 საგეი 42(6)

**ნოვოცი 2:4 მინსოტა (1:0 0:2 1:2)**  
1:0 ტომონი 8(2), 1:1 ჰენდრიკსონი 24(1), 1:2 ბრიტანი 38(4), 1:3 ჰიფორსონი 49(1), 2:3 ერტი 58(1), 2:4 ჰენდრიკსონი 60(2)

„ჩვენ სწორედ იმით ვართ ძლიერნი, რომ ხან ერთი ხაზი გამოირჩევა, ხან მეორე და მეტოქემ არ იცის, ვისგან უნდა ელოდოს საფრთხეს. დღეს ჩვენი ტრიოს ვერი იყო“ — ასე ახსნა ჩიკაგოელთა მეორე სამეულის წარმატება ბელმა. ლოს ანჯელისის გასამართლებლად ვიტყვი, რომ ამჯერად გუნდს ორი ლიდერი — ზიგმუნდ პალეი და ადამ ლედმარში აკლდა.

ლომინიკა პაშკის ავადმყოფობის მიუხედავად, დეტროიტმა მაინც მოიგო სტუმრად. კაროლინასთან შეხვედრაში მასპინძელთათვის მოულოდნელად „წითელფრთიანთა“ მეოთხე სამეული გამოიჩინა. დევერო-დაცოუკი-დანდენოს ბეჯითი შრომა დაუფასდათ. ვერ იყო და, ახალბედა პაველ დაცოუკის დარტყმის შემდეგ მეტიუ დანდენომ იხერია დამატებაზე, მერე კი თავად რუსმა გამოიყენა ბილი დევეროს პასი. ხოლო მესამე პერიოდში სტივ აიზერმანმა უმაღლესი გამოცდები მთელი მატჩი მთელი მატჩი.

ნიუ ჯერსის მწვრთნელმა ლარი რიბინსონმა ერთი გახიზნა ზედიზედ მეორე მოგებით. ისე, ბოსტონი მეტოქეს არაერთი ჩამოუვარდებოდა, ახალწვეულმა კლენ მიურეიმ, ოთხეუ მტუქმელმა და ბილი გერინამც გვარანად გააწყეს მატჩი ბრილი და ნიუ ჯერსის დაცვა სტუმართა გამარჯვება კი ამჯერად არა პირველმა, არამედ სხვა სამეულმა განაპირობეს. გადამწყვეტი გოლიც რომელიც ოვერტიმში გავიდა, სერგეი ბრილინის დამსახურება იყო. მან ბოსტონელი მეტოქის, შინ ოლენისის პასი ჩაჭრა და უმაღლესი მომარაგა მეკარესთან პირისპირ დარჩენილი სკოტ ნიდერმაიერი.

სხვა მატჩებიდან უპირველეს ყოვლისა, ვაშინგტონის ზედიზედ მეორე შრომა წაგება უნდა გამოიყოს. იაროშირ იაგრის და პეტერ ბინდარს გუნდს ფილადელფიის მეკარე ბრაიან ბუშემ (32 მოგებება) შეუშალა ხელი. თუმცა ის, რომ გოლი ვერ გაიტანეს, მასპინძლებმა საკუთარ თავს უნდა დააბრალონ, რადგან მეორე პერიოდში მს-წამიანი ორკაციანი რიკვარავლობა ვერ გამოიყენეს.

ატლანტა და ფლორიდა ახალბელების საუცხოო თამაშით თუ იგუნეებზე თავს. ფლორიდალებმა კრისტინ პუსელიუსმა აილენდერთან ორჯერ გაიტანა და საერთო აქტივი 7 გოლამდე გაზარდა. მაგრამ ნიუიორკელმა აჯერ უკვე მერამდენე მატჩში შეიტანეს გარდატეხა ზედიზედ მეორედ გამოიჩინა კლუბის შარშანდელი საუკეთესო სწაიპერი, პოლენელი მარკო ჩერკასკი.

ატლანტა კი, რომელიც ისედაც ცუდად დაიწყო ჩემპიონატი, ოტავას გადაეყარა. კანადელებმა ზედიზედ მოგებულ 3 მატჩში 17-ჯერ დალაშქრეს მეტოქეთა კარი და არც „თრეშერსს“ დააყარეს ხელი. მაგრამ ილია კოვალჩუკის და დანი ჰიტლის შემეფერე ატლანტელთა ქომავები მომავალს მაინც იმედით უყურებენ. 18 წლის რუსმა ბოლო 7 შეხვედრაში მეექვსედ გაიტანა და 7 გოლით ახალბედა გოლიადორების სიაში პუსელიუსს გაუტოლდა.

სამედი ლარიბიანი



დამონტონი — მონრეალი. დუგ გილმორმა დამონტონელი მარტი რიბინსონი ილიის ქვეშ აძლია

# მასტერ ლი, ღვინო და კარგი საქართველო



საქართველოს ტაეკვონდოს ფედერაციის პრეზიდენტი ვეფხია ჩარგვიანი და ლი ენ სოკი

**პატი ღვინო** სტუმრობდა თბილისის ჩრდილოეთკორეელი ლი ენ სოკი. თუ ამ კაცის სახელი არაფერს გეუბნებათ, გეტყვით, რომ მასტერ ლი ენ სოკი თავისი ქვეყნის ტაეკვონდოს ფედერაციის ტექნიკური დირექტორია, მე-8 დანის მფლობელია და სპორტის ამ სახეობის უდიდეს ვარსკვლავად ითვლება.


მისი ვიზიტი კი საქართველოში ტაეკვონდოს პოპულარიზაციას და განვითარებას ისახავდა მიზნად. ტაეკვონდო ოლიმპიური სახეობა გახდა და ასეთი პატივცემული პირის სტუმრობა ზუსტად რომ დროულია.

ლი ენ სოკი საქართველოში მეორედ ჩამოვიდა. პირველად მან ჩვენი ქვეყანა 1996 წელს მონახულა. მაშინ საქართველოს ტაეკვონდოს ფედერაციის პრეზიდენტმა ვეფხია ჩარგვიანმა დააპატიჟა ჩრდილოეთკორეელი. ამჯერად ლი ენ სოკმა თან ორი თვისტომი, საერთაშორისო ინსტრუქტორი იახლა. მე-6 და მე-5 დანის მფლობელები — ჟო ვონ ბომი და რიან პონ ჩო ერთი კვირის, რაც დიდების სპორტულ კომპლექსში სემინარებს უტარებენ ჩვენს სპორტსმენებს.

ორივე ინსტრუქტორი შეთანხმების საფუძველზე დარჩება საქართველოში და ორი წლის მანძილზე ქართველ ტაეკვონდოსტებს დაოსტატებაში დაეხმარება. ქართული მხარის მიზანაც ის არის, რომ ტაეკვონდოს ქართველი მიმდევრები მაღელვებულად შეიძინონ საერთაშორისო არენაზე და იქ ღირებულ წარმატებას მიაღწიონ.

ჩვენ მხოლოდ კვებით და ბინით ვუზრუნველყოფთ სტუმრებს, დანარჩენ ხარჯებს ამ ორი წლის განმავლობაში კორეული მხარე კისრულობს. — გვითხრა საქართველოს ტაეკვონდოს ფედერაციის პრეზიდენტმა ვეფხია ჩარგვიანმა. ღვინო და თან დასხინა, რომ ასეთი მაღალი დონის სპეციალისტები სპორტის ამ სახეობაში საქართველოში ჯერ არ ჩამოსულან.

მოქმედი და ხანგრძლივ ვარჯიშის შემდეგ



ჟო ვონ ბომი ქართველ ტაეკვონდოსტებს კიდევ ორი წელი გაწვრთნის

მასტერ ლი ენ სოკმა ჩვენთვისაც მოიკალა. ეს კორეელი კაცი მშვენივრად საუბრობს რუსულად და ჩვენს კითხვებსაც თავაზიანად უპასუხა.

**— საქართველოში მეორედ იმყოფებით. რა შეიცვალა თქვენი პირველი ვიზიტის შემდეგ?**

— პირველი, რაც თვალში მომხვდა, თბილისის სახეცვლილებაა. უწინდელთან შედარებით ქალაქი გალამაზდა, თუცა ხალხის თვალში მინც სევდას ვხედავ. მეორე არის ის, რომ საერთოდაც მომარაგდნენ ტაეკვონდოს მიმდევრები. დაგვიხვდნენ ოსტატობა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა გვართობს. ამაში კი ჩვენ დაგვეხმარები.

**— რა დონეზე დღეს ქართული ტაეკვონდო?**  
— ვერ ვიტყვი, რომ ძალიან ჩამორჩებით, მაგრამ მაღალი საფეხურები ჯერ კიდევ შორსაა. თქვენ სადღაც შუაში ხართ. თუმცა თქვენი პირველი ნაბიჯები ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. თანაც ჩვენი ინსტრუქტორები შედეგის მისაღწევად სწორი მიმართულებას მოგცემენ. საამისო პოტენციალი ნამდვილად გააჩნიათ.

**— კმაყოფილი ხართ ქართული მასპინძლობით?**  
— უკეთესი არსად მინახავს. ძალიან მომეწონა ქართული ღვინო, რამდენიმე კერძი და საერთოდ, სტუმართმოყვარე ხალხი ხართ. მინდა, ვიდგოფირო ალგებკლო თბილისის ღირსშესანიშნაობები და ყველას ვუჩვენო, თუ რა კარგი ქვეყანაა საქართველო.

ბაკო სვანიძე

მოუნხენი (გერმანია) WTA-ს ჩემპიონატი საპრიზო 3 მილიონი \$

**პირველი ნრე. სიმონა ჰალიპეტი (7, აშშ)** — სილია ფარინა ელია (იტალია) 6:1, 6:2; **ბრანდა სანჩის-შინატი (ესპანეთი)** — ნატალი ტონია (3, საფრანგეთი) 6:3, 6:4; **სანდრა პეტრი (საფრანგეთი)** — ამელი მორემო (5, საფრანგეთი) 6:7, 7:5, 6:4; **ჰენრიეტა კარინათი (1, აშშ)** — მაგდალენა მალენა (ბულგარეთი) 2:6, 6:3, 6:3

გამოჩნდნენ დები უილიამსები, რომლებიც ამერიკის დია პირველობის შემდგომ ტურნირებზე არაიხსენებენ. უფრო ზუსტად, გამოჩნდა მხოლოდ სერენა, ვინუსმა კი ზედ სტარტზე უარი შეუთვალა მიუნხენის ტურნირის ორგანიზატორებს, ტრავმა მასუბესო. WTA-ს წესების თანახმად, შეიქმნა 3-კაციანი კომისია, რომელიც გარკვევს, შავი ვენერა თაღლითობს თუ ტრავმა მართლა აწუხებს. ამასობაში კი ლინდსი დევენორტმა, ვისაც იელოველი დები, კარგა ხანია, არ „ეკავება“ (პირიქითაც), კრიტიკული განცხადების გაკეთება მოასწრო: „უკეთესი იქნებოდა, ადრე ეთქვა, არ შემიძლიაო. კატათავობანა ხომ არ არის, ათჯერ განაცხადა, ვითამაშებო, ახლა კი...“

ისე თუ არა ტრავმა, რად უნდა ეთქვა უარი ვინუს უილიამსზე? ტურნირი სიმპათიურია საპრიზო ფონდით და შემადგენლობითაც: რეიტინგის 16 ლიდერი თამაშობს. მათგან მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ჯენიფერ კარპიატიმ ერთი წრე უკვე გაიარა. კაპრიტი ეთამაშა ბულგარელ მაგდალენა მალენას და პირველი სეტი როგორცაც ლადალ წააგო, თუმცა მერე გონს მოგო და დარჩენილ პარტიებში შანსი არ დაუტოვა მეტოქეს.

„მაღლობა ღმერთს, გავიმარჯვე — აღნიშნა კარპიატი — რაღაც ქალსური მატჩი გამოვიდა, მეც და იმანაც (მალენამ) ბევრი იოლი ბურთი გავაფუჭეთ.“

სერენა უილიამსს პრობლემები საერთოდ არ აქონია. იგი მოქნილად იყე-

## კარიერის სრულდებიანი ბოლო გუსტავო კუერტენმა დიდი ნაფისი გატანა

ნება თავის ვაჟკაცურ კუნთებს და იტალიელ სილია ფარინა ელიას მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო. სამაგიეროდ, წააგო და იტირა ნატალი ტონიამ. დღეის იქით ჩვენს წერილებში ამ პოპულარული ფრანგის ხსენება იქნებ აღარც კი დაგვიჩინდეს, რადგან მის 17-წლიან კარიერას სწორედ არაჩნა სანჩის-ვიკარიოსთან თამაშით დაესვა წერტილი.

„არ მეგონა, თუ წასვლა ასე გამიჭირდებოდა“ — თქვა ტონიამ პრესკონფერენციაზე. რას ვააკეთებს მომავალში, ფრანგს არ დაუკონკრეტებია.

პარიზი (საფრანგეთი) „მასტერსის“ სერია საპრიზო 2,95 მილიონი \$

**პირველი ნრე. ტომას ბეჩკოვიტი (შვედეთი)** — ნიკოლა ესკუდუ (საფრანგეთი) 6:2, 6:3; **მისაბინა ბუტი (საფრანგეთი)** — ანდრე პაველი (რუმინეთი) 6:3, 3:1 (ტრავმა); **სანდრა პეტრი (პოლანდია)** — ფიფერეკო ლუვი (იტალია) 6:4, 6:2; **ივან ლევიტინი (სლოვაკია)** — გარლოს მონა (ესპანეთი) 7:5, 6:4; **ალბერტ პოსტა (ესპანეთი)** — მიხელ ლოდა (საფრანგეთი) 7:6 (7:3), 6:4; **მისაბინა ბუტი (სლოვაკია)** — მას მირნი (ბელარუსი) 6:2, 7:6 (7:4).

**მეორე ნრე. გუსტავო კუერტენი (ს. ბრაზილია)** — ბობან ულირაზი (მეხიკო) 6:2, 6:4; **ბრანდა სანჩის-შინატი (ესპანეთი)** — ალეს კორეა (9, ესპანეთი) 6:7, 7:6 (7:3), 6:4; **ნიკოლა ესკუდუ (საფრანგეთი)** — ლეიტონ პიუიტი (2, ესპანეთი) 4:6, 6:4, 6:4; **სანდრა პეტრი (პოლანდია)** — ალბერტ პორტა (ესპანეთი) 6:3, 6:4; **ანდრე პაველი (რუმინეთი)** — გორან ივანი-შევიტი (12, სლოვაკია) 6:4, 3:6, 7:6 (8:6)

მშვენივრად აწვობილი საქმე ლეიტონ პიუიტმა პარიზის „მასტერსზე“ შეაფერხა, სადაც განთავსდები პირველი წრიდან თავისუფლები იყვნენ. ავსტრალიე-

ლმა მეორე წრის მატჩი ეკვალორელ ნიკოლას ლაპენტიანთან სამ სეტში წააგო და ახლა მხელად თუ დაასრულებს სეზონს მსოფლიოს ნომერ პირველ ჩოგბურთელად, რადგან ვაქცეს მეორე ცნობაც: გუსტავო კუერტენმა მოიგო და ალბათ წინსვლას გააგრძელებს.

ახლა მივევთ პიუიტის მარცხის ქრონიკას. ოხმა პირველი სეტი საკმაოდ დამაჯერებლად მოიგო. არ ეტყობოდა, რომ ტრავმა აწუხებდა, რომლის მიზეზითაც სტოკჰოლმის ტურნირი გააკლინა, მაგრამ მეორე სეტში უპირატესობა აშკარად ლაპენტის მხარეს გადავიდა. ეკვალორელი ამოქმედდა მსუბუქად, აგრესიულად და ერთი მოწოდების ართმევით პარტია მას დარჩა, გადამწყვეტი სეტის მე-9 გეიმის მოგებით კი კარგი საფუძველი შექმნა მატჩში წარმატების მისაღწევად — მას ოთხი მატჩ-პოინტი აქონდა; მაგრამ პიუიტმა ბოლომდე იბრძოლა და ოთხივე დააკარგინა მეტოქეს. ეს იყო ბოლო, რაც ოხმა შეძლო, მეხუთე მატჩ-პოინტზე ეკვალორელის სეშმა კარგა ხანგრძლივი შეხვედრა დაასრულა მაშინ, როცა ტაბლოზე 2 საათი და 25 წუთი ეწო.

ეს წაგება ჩემვის შოკის მომგვრელი არ ყოფილა — ოლიმპიური სიმშვიდით აღნიშნა პიუიტმა — მეტსაც ვიტყვი, ცოტა გულზე მომეშვა, რადგან ახლა მეტი დრო მექნება დასვენებისთვის და „მასტერს კაპზე“ უფრო ჯიანა ჩავალ“.

მეორე წრემ ორი ელიტარული ჩოგბურთელი დაამუხრუჭა. გავარდა გორან ივანიშვიტი, ვინც ანდრეას ვინსი-ვერასთან ორი მატჩ-პოინტის დაკარგვა მოახერხა და ესპანელმა ალეს კორეამაც დიდი გაწამაყის შემდეგ კრიტიკულ როლს გამარჯვება მიუღო. ივანიშვიტიც არ ნერვიულობს, უიბმლდონის ჩემპიონობამ ხორვატს ავტომატურად არგუნა „მასტერს კაპის“ საფეხური და იგი წყნარად მსჯელობს იმაზე თუ როგორ უხარია ავსტრალიაში ჩასვლა, სადაც მრავალი ხორვატი ცხოვრობს. „ტრიბუნებიდან დიდი მხარდაჭერა მექნება“ — ასკვის ივანიშვიტი.

დავით გულუა



გუსტავო კუერტენი



ფიქტო ისტორიისთვის ნატალი ტონიას ბოლო მატჩი

**სარბიელი**  
საპრიზო გავითი  
გამოცემა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გამოდის საფაბრატოს,  
ოთხფაბრატოს, ხუთფაბრატოს,  
პარასაბრატოს და შაბრატოს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჯორჯაძე  
დირექტორი ბიორბი ოქროშვილი  
რედაქტორი თამაზ მიხრიალი  
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბუჩქაძე  
ფეხბურთის რედაქტორი სოსო კობორიძე  
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქტორი მირაბ რატიშვილი  
ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პატა კვანტალიანი

კალათბურთის და ინფორმაციის რედაქტორი ვია ახალაძე, გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფარაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში თეზა კაციაძე, ფოტორეპორტიორები გურამ დოლონაშვილი, ბადრი კვიციანი, სტილინგტი მია აბანიანი, ნათელა გიორგობანი, ლალი გოზალიშვილი, კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, მამუკა კუბულაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაქაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე  
გამომწვევები ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:**  
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.  
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge  
ელექტრონული ვებგვერდი http://www.sarbieli.com.ge